საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 140

07 09 2015 წელი

,,მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 15 აპრილის #46 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ" მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 მაისის N64 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 სექტემბრის სხდომია N14 ოქმის მე-13 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 21 აგვისტოს N03/2872 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით

1. შევიდეს ცვლილება ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 15 აპრილის N46 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ" მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 მაისის N64 განკარგულების პირველ პუნქტში და ქალაქ მარნეულში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ,,ს.მ.პ. 243"-ს მრავალბინიან სახლზე მისაკუთვნებელი დაზუსტებული მიწის ნაკვეთის ფართი და საზღვრები განისაზღვროს ი/მ ,,ალახვერდი მამედოვი"-ს მიერ შესრულებული კორექტირებულ აზომვით ნახაზზე მითითებული ფართისა და კოორდინატების შესაბამისად.

2. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ,,ს.მ.პ 243"-ს თავმჯდომარემ რაფიკ კარაკეშიშიანმა უზრუნველყოს კორექტირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრაცია.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს თეიმურაზ ბერიძეს.

ნაბი აბდულაევი

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

383130 ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73 ☎ 22 53 07 // 22 26 26 RUSTAVELI str MARNEULI